

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს ვაკანსიას კახეთის რეგიონალური კორესპონდენტის თანამდებობაზე;

პოზიცია: კორესპონდენტი (კახეთი)

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა: 3 თვე

სამუშაოს აღწერა:

- სიუჟეტის თემების მოძიება, დაგეგმვა და დამუშავება;
- უახლესი ინფორმაციის გადამუშავება;
- გადაღების დაგეგმვა;
- სამონტაჟოდ და საეთეროდ მასალის გამზადება;
- ოპერატორთან ერთად მასალის დამონტაჟება და სიუჟეტის დამზადება;
- სიუჟეტის საანონსე მასალის მომზადება;
- წამყვანისთვის ინფორმაციის მიწოდება სიუჟეტის შესახებ;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება
- სიუჟეტის სტრუქტურის ცოდნა
- კომპიუტერულ საოფისე პროგრამებში მუშაობის ცოდნა, ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენების ცოდნა
- მაუწყებლის შესახებ კანონით დადგენილი რეგულაციებისა და ნორმების ცოდნა

სამუშაო გამოცდილება:

- აუცილებელია მსგავს პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება
- სასურველია სატელევიზიო ინდუსტრიაში მუშაობის გამოცდილება.

შერჩევის ეტაპები:

- 1) აპლიკაციების გადარჩევა;
- 2) გასაუბრება.

ვაკანსიით დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა შემდეგ ბმულზე:
<http://1tv.ge/projects/hiring/>

აპლიკაციების მიღების საბოლოო ვადაა 2016 წლის 10 ივნისის ჩათვლით.